მოსახლეობის ადამიანური უსაფრთხოების ხარისხის და გენდერული საჭიროებების შეფასება ქუთაისის მუნიციპალიტეტში

პროექტი „განხეთქილების დაძლევა - ხალხთაშორისი ინიციატივები კონფლიქტის მოსაგვარებლად“

2023



კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდა
ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერით
USAID-ის სააგენტოს მეშვეობით

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ქალთა ფონდ „სოხუმს“
და, შესაძლოა, არ გამოხატავდეს USAID-ის პოზიციას

სარჩევი

შესავალი 3
თავი 1. დემოგრაფიული მონაცემები 3
თავი 2. უსაფრთხოების არსი..... 4
თავი 3. საზოგადოებრივი უსაფრთხოება 7
თავი 4. პირადი უსაფრთხოება 12
თავი 5. საფრთხეების გავლენა ადამიანზე 15
დასკვნები და რეკომენდაციები 18

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში ჩატარებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის სისტემატიზებულ მონაცემთა ანგარიშს, რომელშიც ასახულია საზოგადოების დამოკიდებულება უსაფრთხოებისა და გენდერული საჭიროებებისადმი. კვლევა ჩატარდა **USAID-ის სააგენტოს** მიერ მხარდაჭერილი, ქალთა ფონდი „სოხუმის“ პროექტის ფარგლებში.

თავი 1. დემოგრაფიული მონაცემები

ქუთაისის მუნიციპალიტეტში რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 199-მა რესპონდენტმა. ქვემოთ წარმოდგენილია ზოგიერთი დემოგრაფიული მონაცემი:





სოციალურ-დემოგრაფიული სტატუსი



რაც შეეხება ასაკობრივ კატეგორიებს:

- 58 რესპონდენტი (29.2%) - არის18-30 წ.;
- 64 რესპონდენტი (32.1%) - 31-45 წ.;
- 58 რესპონდენტი (29.2%) - 46 – 65წ.;
- 19 რესპონდენტი (9.5%) - 65+ ასაკის.

დევნილებს შორის უმეტესობა (42 რესპონდენტი) დასაქმებულია და ასევე უმრავლესობა (56 რესპონდენტი) - ქალია.

თავი 2. უსაფრთხოების არსი

რესპონდენტებმა 5-ქულიან სკალაზე შეაფასეს უსაფრთხოების ხარისხი (მოცემულ შემ-თხვევაში კითხვას უპასუხა 195-მა რესპონდენტმა).

უსაფრთხოების ხარისხის შეფასება



საშუალო მაჩვენებელი Mean = 3.4-ს, ეს კი ნიშნავს, რომ ზოგადი სურათის მიხედვით, უსაფრთხოების განცდა საშუალოზე ოდნავ მაღალია - მაჩვენებელი მოქცეულია მაღალი შეფასების ველში, სკალის ნეიტრალურ წერტილთან ახლოს.[1]

მცირე განსხვავება გამოვლინდა სქესის მიხედვით **- მამაკაცები ოდნავ უსაფრთხოდ გრძნობენ თავს ქალებთან შედარებით:** ქალებთან უსაფრთხოების საშუალო მაჩვენებელი Mean = 3.4-ს, ხოლო მამაკაცებთან - Mean = 3.5-ს.

კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტების უმრავლესობისთვის (შემთხვევათა 79.8%) უსაფრთხოება დაკავშირებულია ქვეყანაში ომის არარსებობასა და რეგიონში სტაბილურობასთან. რიგით მეორე არჩევანს კი ოჯახის კეთილდღეობა წარმოადგენს (შემთხვევათა 53.2%)[2]. სქესის, ასაკის და სოციალურ-დემოგრაფიული სტატუსის მიხედვით ჭრილებში გამოვლინდა მსგავსი ტენდენციები.

იმ რესპონდენტებიდან, ვინც გადაადგილების თავისუფლებას უსვამს ხაზს (სულ 55 შემთხვევა), უმეტეს შემთხვევებში ფიქსირდება ადგილობრივები (33 შემთხვევა) და დასაქმებულები (30 შემთხვევა). გადაადგილების თავისუფლების მოთხოვნილება არ არის განპირობებული სოციალურ-დემოგრაფიული სტატუსით (დევნილობით) და არც დაუსაქმებლობით, არამედ, სავარაუდოდ, მიანიშნებს მოსახლეობის ნიჰილისტურ დამოკიდებულებაზე საკუთარი ქვეყნის/სხვადასხვა ინსტიტუციის მიმართ.



1 შენიშვნა: შეფასება გაკეთებულია 5-ქულიან სკალაზე, სადაც რიცხვი „1“ აღნიშნავს უსაფრთხოების დაბალ ხარისხს, ხოლო რიცხვი „5“ - უსაფრთხოების მაღალ ხარისხს. სკალის ნეიტრალური პუნქტია 3. შესაბამისად, მონაცემები 3-ზე მაღლა შეესაბამება მაღალი შეფასების ველს, ხოლო 3-ზე ნაკლები - დაბალი შეფასების ველს.

2 რესპონდენტებს ჰქონდათ მაქსიმუმ 3 არჩევანის შესაძლებლობა, შესაბამისად, მოცემული განაწილება ასახავს პასუხების და არა რესპონდენტების რაოდენობებს და პროცენტული მაჩვენებლების ჯამი აღემატება 100%-ს.

რაოდენობრივი კვლევის შედეგებს ამყარებს თვისებრივი კვლევა, სადაც ჯგუფური დისკუსიებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების მონაწილეები უსაფრთხოების განცდას უკავშირებენ შემდეგ ფაქტორებს:

- მშვიდობა, ომის არარსებობა, ქვეყნის სუვერენიტეტის დაცულობა;
- არაძალადობრივი გარემო და მასთან დაკავშირებული ფიზიკური უსაფრთხოება;
- სანდოობა და გამჭვირვალეობა დასაქმების ადგილებში, ასევე შრომითი უსაფრთხოების დაცვა;
- გარემოს, ეკოლოგიური, ჯანდაცვის და კვებითი უსაფრთხოება;
- კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების, სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების დაცვა;
- ოჯახის წევრების მხარდაჭერა და სიმშვიდე საკუთარ ოჯახში, რომელიც უკავშირდება ასევე არაძალადობრივ გარემოს.

აღსანიშნავია, რომ თვისებრივი კვლევის ყველა მონაწილე ოჯახში თავს უსაფრთხოდ გრძნობს. რაც შეეხება საზოგადოებრივ უსაფრთხოებას - აზრები იყოფა: ნაწილი მიიჩნევს, რომ საზოგადოებაში გახშირებული ძალადობრივი ფაქტების, აგრესიის, პოლარიზაციის, ეკოლოგიური და გარემოს პრობლემების (მაგ.: გამონაბოლქვი, მაწანწალა ძაღლები), ჯანდაცვის პრობლემების (კოვიდ-19, არასათანადო სერვისები) და ა.შ. გამო, საზოგადოებრივი უსაფრთხოება დაცული არ არის. ნაწილი კი კმაყოფილებას გამოთქვამს და მიიჩნევს, რომ სტაბილურობა და მშვიდობა არის საზოგადოებრივი უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი.

ინფორმაციის მიღების წყაროები: რესპონდენტები, პირველ რიგში (შემთხვევათა 75.9%), ინტერნეტ წყაროებიდან იღებენ ინფორმაციას ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე ამბების შესახებ), მეორე რიგში კი - ადგილობრივი ტელევიზიიდან (შემთხვევათა 65.8%). ინტერნეტ წყაროს გამოყენების მაჩვენებლები ასაკის მიხედვით თითქმის თანაბრად გადანაწილდა 18-დან 65 წლამდე რესპონდენტებში. ვინც საერთაშორისო მედიას ირჩევს ინფორმაციის მიღების წყაროდ (41 შემთხვევა), მათგან ნახევარი დევნილია, ნახევარი - ადგილობრივი, უმეტესობა 18-35 (16 შემთხვევა) და 35-45 (15 შემთხვევა) წლისაა.

75 შემთხვევაში (შემთხვევათა 37.7%) დასახელდა **ინფორმაციის მიღების** 1 წყარო - ადგილობრივი ტელევიზია და ინტერნეტ წყარო. მათგან 22 შემთხვევა არის ადგილობრივი ტელევიზია. სქესის ჭრილში აღმოჩნდა, რომ მამაკაცები ადგილობრივ ტელევიზიას და ინტერნეტს თითქმის თანაბრად იყენებენ (30 და 32 შემთხვევა), ხოლო ქალები უპირატესობას ინტერნეტ წყაროებს ანიჭებენ (119 შემთხვევა).[3]

3 ერთი რესპონდენტი, ვინც რუსეთის ტელევიზია ძირითად წყაროდ დაასახელა - ადგილობრივია, ქუთაისის მცხოვრები, საშუალო ასაკის, უმუშევარი მამაკაცი, რომლის ოჯახის წევრებსაც ხარისხიან საშუალო და უმაღლეს განათლებაზე წვდომა არ აქვთ.



შენიშვნა: მოცემული განაწილებები აღნიშნავს პასუხების და არა რესპონდენტების რაოდენობას (თითოეული ასახელებდა 2 ძირითად წყაროს). შესაბამისად, პროცენტული მაჩვენებლების ჯამური ოდენობა აღემატება 100%-ს.

თავი 3.
საზოგადოებრივი უსაფრთხოება

გამოკითხული რესპონდენტების და მათივე თემში მცხოვრები პირებისთვის, პირველი სამი ყველაზე პრიორიტეტული საკითხი საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით, უკავშირდება ტრანსპორტის და გზების მოწესრიგებას:

- ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესება (შემთხვევათა 42.7%);
- გზების მოწესრიგება (შემთხვევათა 28.6%);
- სანიაღვრე არხების გაკეთება (შემთხვევათა 27.1%)

გენდერულ ჭრილში გამოვლინდა, რომ მამაკაცებისთვის უფრო მნიშვნელოვანია გზების და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ქალებისთვის - ტრანსპორტის და სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ე.ი. საკითხები, რომლებიც გენდერულ მობილობას, ქალების და მამაკაცების ძირითადი გადაადგილების არეალს მოიცავს. სხვა ჭრილებში არ გამოვლენილა არსებითი განსხვავებები.

ბავშვის მოვლის სერვისების საჭიროებაზე, ძირითადად, ქალები ამახვილებენ ყურადღებას (37 შემთხვევა 47-დან), რაც გენდერული სტერეოტიპების, როგორც გამოწვევის, არსებობას ადასტურებს.



შენიშვნა: მოცემული განაწილებები აღნიშნავს პასუხების და არა რესპონდენტების რაოდენობას (თითოეული ასახელებდა 3 ძირითად ფაქტორს). შესაბამისად, პროცენტული მაჩვენებლების ჯამური ოდენობა აღემატება 100%-ს.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა გამოიკვეთა:

- კრიმინალის ზრდა (შემთხვევათა 67.3%);
- ალკოჰოლიზმი, ნარკომანია (შემთხვევათა 42.7%)

აღსანიშნავია, რომ ნივთიერებაზე დამოკიდებულების შესახებ უფრო ადგილობრივები მიუთითებენ (50 შემთხვევა 85-დან), ვიდრე დევნილები.

რომელს მიიჩნევთ ყველაზე დიდ პრობლემად საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის?



შენიშვნა: მოცემული განაწილებები აღნიშნავს პასუხების და არა რესპონდენტების რაოდენობას (თითოეული ასახელებდა 2 ძირითად ფაქტორს). შესაბამისად, პროცენტული მაჩვენებლების ჯამური ოდენობა აღემატება 100%-ს.

თვისებრივ კვლევაში ცალ-ცალკე განიხილავენ ფიზიკურ და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას.

ცხრილში წარმოდგენილია ყველაზე აქტუალური პრობლემები, რომლებიც, თვისებრივი კვლევის რესპონდენტების აზრით, საფრთხეს უქმნიან როგორც ფიზიკურ, ასევე საზოგადოებრივ უსაფრთხოებას:

- ძალადობა (ქალთა, ბავშვების მიმართ და ოჯახში, ფემიციდი, ადრეული ქორწინება უმცირესობების მიმართ ძალადობა და ბულინგი) - *„ის რომ მე ჩემს მეუღლეს არ ვცემ, ეს არ ნიშნავს, რომ ის დაცულია“ (დ. ლ. ჟურნალისტი); „ნაადრევად დაქორწინებული გოგონები უარს ამბობენ სწავლაზე, ხდებიან ძალადობის მსხვერპლი არა მხოლოდ ქმრის, არამედ მისი მშობლების მიერ. რაც მთავარია, ისინი კარგავენ განვითარების შანსს, მომავალს“ (ნ. თ. ქალი, 23 წლის, ქ. ქუთაისი, მასწავლებელი);*
- ინფრასტრუქტურის გაუმართაობა (მაგ: სამუშაოების დროს შრომის უსაფრთხოების წესების უგულებელყოფა, სანიაღვრე საკანალიზაციო სისტემების გაუმართაობა);
- ნივთიერებაზე დამოკიდებულება (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია);
- შშმ პირებისადმი დამოკიდებულება (მაგ., არ არის ადაპტირებული ინფრასტრუქტურა, ინკლუზიურ ბავშვებთან სამუშაოდ პედაგოგები არ არიან სათანადოდ მომზადებულები) - *„ხალხს ჰგონია, რომ ეს ბავშვები არ უნდა არსებობდნენ და უნდა ჩავკეტოთ სახლში. გვებრძოდა სამეზობლო ჩვენს ცენტრთან დაკავშირებით და ჩვენ ხალხის და მთავრობის დახმარებით ყველაფერი ისე მოვაგვარეთ, რომ ახლა ჩვენი ცენტრი არის ღია“ (ა. ბ., შშმ პირის დედა, მზარეული, მოწყვლადი ქალების ფოკუს-ჯგუფი, ქუთაისი);*

- პოლიტიკური პოლარიზაცია;
- დაბინძურებული გარემო (გამონაბოლქვი, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უგულებელყოფა სარეკრეაციო სივრცეებში და ა.შ.)
- ავარიული ბინები, საფრთხის შემცველი ლიფტები, ახალი ბინების მშენებლობისას დარღვეული სტანდარტები, როგორც ნაგებობის მასალებთან და სხვა პარამეტრებთან მიმართებაში, ასევე მშენებლობის განმახორციელებელი ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაუცველობა.

აღნიშნული პრობლემების საფუძველს, თვისებრივი კვლევის რესპონდენტების მოსაზრებით, რამდენიმე ფაქტორი წარმოადგენს: ინფორმირებულობის და განათლების დაბალი დონე (რაც სტერეოტიპების საფუძველს წარმოადგენს), შეზღუდული სოციალურ-ეკონომიკური რესურსი, მოსახლეობაში არსებული ნიჰილიზმი.

ჩამოთვლილი პრობლემები **და მათი მოუგვარებლობა ადამიანზე, საზოგადოებაზე და ზოგადად ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე** ნეგატიურ გავლენას ახდენს, მაგ., ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო, შესაძლოა ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს შეექმნას საფრთხე; იწვევს ნეგატიურ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ადამიანებში და სიტუაცია მეტად რთულდება, თუ ინდივიდი გადაწყვეტილების მიმღები პირია, ან საქმე აქვს არასრულწლოვნებთან და/ან პაციენტებთან; ზღუდავს აზრის და გამოხატვის თავისუფლებას; ხელს უწყობს მიგრაციას; ხელს უწყობს აგრესიის გაღვივებას, რომელიც ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისადმი მიემართება (მაგ., ქალებისადმი).

თვისებრივი კვლევის რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ მოცემულ პრობლემებზე საუბარი მეტ-ნაკლებად ღიად მიმდინარეობს საზოგადოებაში, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად შედეგის მომტანი აღმოჩნდება. მეორე ნაწილი კი თვლის, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ ტაბუირებულია, რაც ინდიფერენტულ-ნიჰილისტურ დამოკიდებულებებს აღვივებს მოსახლეობაში.

> *„არ განიხილება, არ ხდება მოქალაქეების ჩართულობა არც ბიუჯეტის შედგენაში, არც შემდეგ, როგორ იხარჯება ეს ბიუჯეტი და რას აკეთებს თუნდაც, მთავრობა. ხანდახან არც ვეკითხებით, იქნებ არ უნდათ სპორტული მოედანი და ტრენაჟორები უნდათ, რომ გაკეთდეს ან სკვერი. მოსახლეობა არ არის გადაწყვეტილების მიღებაში ჩართული არასდროს. ვერ დავადანაშაულებ ასე ცალსახად მთავრობას, თვითონაც არ არიან დაინტერესებული“ (ჟურნალისტი).*

> *„ქალთა უფლებების შესახებ საუბრობენ, თუმცა უმეტეს შემთხვევაში პრობლემებს მალავენ. არ არის საზოგადოების მხრიდან ღიაობა, თითქოს ამაზე საუბარი არის სირცხვილი. შესაბამისად, ხელი ეშლება პრობლემის დაფიქსირებას და თუ პრობლემა არ დაფიქსირდა, მის გადასაჭრელად ვერანაირი ღონისძიება ვერ გატარდება და ვერც საბოლოო შედეგს მივიღებთ - ამ პრობლემის გადაჭრას“ (მ. ბ., ახალგაზრდა ქალი, ფოკუს-ჯგუფი, ქუთაისი);*

> *„საზოგადოებაში უსაფრთხოების კუთხით ცნობიერება საკმაოდ დაბალია. უსაფრთხოება ბევრ მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს. ამ მიმართულებით საზოგადოების ინფორმირება არის მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ საზოგადოებამ შემდეგ დაიწყოს კონკრეტული საკითხების მოთხოვნა, რომ მათი მხრიდან უფრო მეტი ჩართულობა იყოს“ (მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი).*

განათლების უსაფრთხოება

ხარისხიანი საშუალო განათლების მიღება, გარკვეულწილად, პრობლემურია. ქუთაისში გამოკითხულთა უმეტესობას (მათ შვილებს, შვილიშვილებს, ნაცნობებს) მხოლოდ ნაწილობრივ (55%), ხოლო 11%-ს კი საერთოდ არ მიუწვდება ხელი. სხვადასხვა ჭრილში გამოვლინდა მსგავსი ტენდენციები.

აქვთ თუ არა თქვენს შვილებს, შვილიშვილებს ან ნაცნობებს ხარისხიან საშუალო განათლებაზე წვდომა?



იმ რესპონდენტებმა, რომლებმაც ხარისხიანი საშუალო განათლების დაბალი ხელმისაწვდომობის ან არახელმისაწვდომობის შესახებ მიუთითეს, დაასახელეს კონკრეტული მიზეზები, სადაც ცალსახად გამოიკვეთა ორი: სწავლების დაბალი ხარისხი (შემთხვევათა 70.2%) და პროფესიონალი პედაგოგების არასაკმარისობა (შემთხვევათა 43.5%). ასევე, შედარებით გამოიკვეთა სკოლაში შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის არარსებობა (კომპიუტერები, ინტერნეტი, სპეციალიზებული საგნობრივი კაბინეტები (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და ა.შ) (შემთხვევათა 20.6%).

უმაღლეს განათლებასთან მიმართებაში სიტუაცია ოდნავ განსხვავებულია - უმრავლესობას (რესპონდენტებს, მათ ოჯახის წევრებს, ნაცნობებს) (55%) მიუწვდება ხელი. მხოლოდ 8 რესპონდენტი მიუთითებს უმაღლესი განათლების არახელმისაწვდომობას[4]

ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის, ოჯახის წევრისთვის ან თქვენი ნაცნობებისთვის უმაღლესი განათლება?



4 ამ 8 ადამიანიდან 4 დევნილია, 4 - ადგილობრივი; 3 მამაკაცია, 5 - ქალი; უსაფრთხოების ხარისხად დაბალი - 1,2,3 ქულა აქვთ მითითებული.

უმაღლესი განათლების მიღების ბარიერებს შორის წამყვანია სწავლების მაღალი საფასური (40%). დანარჩენ ბარიერებს დაახლოებით თანაბარი ხვედრითი წილი აქვს. გენდერულ ჭრილში მამაკაცებისთვის ორი წამყვანი ბარიერი თანაბრად გამოიკვეთა: სკოლებში პროფესიის საორიენტაციო კურსების არარსებობა და სწავლების მაღალი საფასური (32-32%).

რას მიიჩნევთ პროგლემად უმაღლესი განათლების მისაღებად?



თავი 4. პირადი უსაფრთხოება

იმ რესპონდენტების ხვედრითი წილი, ვინც თვლის, რომ მათთვის ან მათ თემში ძალადობის თემა აქტუალური ან ძალიან აქტუალურია, არც ისე მაღალია (38%). დაახლოებით ამდენივე რაოდენობის რესპონდენტისთვის ძალადობის საკითხი საერთოდ არ არის აქტუალური (35%). გენდერულ ჭრილში გამოვლინდა, რომ მამაკაცებისთვის ოჯახში ძალადობის თემა შედარებით არააქტუალურია და ქალებთან შედარებით მეტ მამაკაცს არ აქვს პასუხი. ყურადსაღებია, რომ თავად რესპონდენტი ქალების ნახევარი თვლის აღნიშნულ საკითხს აქტუალურად, ხოლო ნახევარი - არააქტუალურად. მსგავსი დამოკიდებულება ერთგვარად „უხილავს“ ხდის ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებს და რისკებს ქმნის პირადი და საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით.

რამდენად აქტუალურია ოჯახში ძალადობის პროგლემა თქვენთვის ან თქვენს თემში?



რამდენად აქტუალურია ოჯახში ძალადობის პრობლემა თქვენთვის ან თქვენს თემში? (სქესის მიხედვით)



შენიშვნა: დიაგრამაში მოცემულია რაოდენობები

მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ ის რესპონდენტები, ვინც მიიჩნევს, რომ ოჯახში ძალადობის თემა აქტუალურია, ან ძალიან აქტუალურია (38%) – კრიმინალის დაბალ მაჩვენებელს არ მიიჩნევენ უსაფრთხოების განმსაზღვრელ ნიშნად. ვინც მიუთითებს პასუხს „არ არის აქტუალური“ - მესამე ადგილზე აყენებს კრიმინალის დაბალ მაჩვენებელს უსაფრთხოების საკითხის განსაზღვრისას.

ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ განყენებულად კრიმინალის დაბალი მაჩვენებელი ვერ იქნება უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმ ფონზე, როდესაც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა გამოწვევად რჩება.

რაც შეეხება ძალადობის ფორმებს, ყველაზე გავრცელებულია ფსიქოლოგიური ძალადობა (56%). დაახლოებით თანაბარი მაჩვენებელი აქვს და მცირედით განსხვავდება ეკონომიკური ძალადობა (23%) და ფიზიკური ძალადობა (20%). სექსუალური ძალადობის შესახებ მიუთითა სულ სამმა რესპონდენტმა (სამივე მათგანი ქალია, ადგილობრივი, სხვადასხვა ასაკის: 18-30 წ. - სტუდენტი; 31-45 წ. - დასაქმებული, 65+ წ. - ასევე დასაქმებული). სხვადასხვა ჭრილში დაფიქსირდა მსგავსი ტენდენციები.

ქალთა მიმართ ძალადობის რომელი ფორმაა ყველაზე გავრცელებული თქვენს თემში?



თვისებრივი კვლევის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ დღევანდელ დღეს ნაკლებადაა აქტუალიზებული შემდეგი საკითხები: ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა, სექსუალური შევიწროება, მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, მუნიციპალური ბიუჯეტის შედგენაში მოქალაქეთა თანამონაწილეობა, ნივთიერებაზე და აზარტულ თამაშზე დამოკიდებულება, მიუსაფარი ცხოველების პრობლემა, ჯანდაცვაში არსებული პრობლემები, საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემა.

სერვისების შესახებ ინფორმირებულობის დონე: ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ ინფორმირებულია 25.6%, ნაწილობრივ ინფორმირებულია - 34.1%, ხოლო ინფორმაციას არ ფლობს ყველაზე მეტი რესპონდენტი (40.2%). სხვადასხვა ჭრილის მიხედვით არ გამოვლენილა არსებითი განსხვავებები.
იმ რესპონდენტებმა, ვისაც სრული ან ნაწილობრივი ინფორმაცია ჰქონდათ ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ, დაასახელეს კონკრეტული სერვისები, რომელთა შორის ცალსახად გამოკვეთილია **ინფორმირებულობა ცხელი ხაზის შესახებ** (შემთხვევათა 58.8%). ამას გარდა, შედარებით გამოიკვეთა არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი სერვისები და საკუთრივ ძალადობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები (შემთხვევათა დაახლოებით 23% და 28%).

რომელი სერვისების შესახებ გაქვთ ინფორმაცია?



შენიშვნა: მოცემული განაწილებები აღნიშნავს პასუხების და არა რესპონდენტების რაოდენობას (თითოეულს შეეძლო დაესახელებინა რამდენიმე სერვისი). შესაბამისად, პროცენტული მაჩვენებლების ჯამური ოდენობა აღემატება 100%-ს.

კვლევამ აჩვენა, რომ ძალადობის მსხვერპლთა ან პოტენციურ მსხვერპლთა დახმარების სერვისების შესახებ ინფორმაციის მიღების ორი ძირითადი წყაროა:

- სოციალური ქსელი (შემთხვევათა 55.8%)
- ტელევიზია, რადიო (შემთხვევათა 28.2%)

არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა დასახელდა მხოლოდ 18 შემთხვევაში.

ძალადობის მსხვერპლთა ან პოტენციურ მსხვერპლთა დახმარების სერვისები, რესპონდენტების 47.8%-ის აზრით, ხელმისაწვდომია მათი ქალაქის, მუნიციპალიტეტის, სოფლის მოსახლეობისათვის. დაახლოებით ამდენივე რესპონდენტი (46.2%) მიუთითებს, რომ არასაკმარისად ხელმისაწვდომია. მხოლოდ 12 რესპონდენტმა (6.03%) მიუთითა სერვისების სრულად არახელმისაწვდომობის შესახებ (რომელთაგან 10 ქალია, სხვადასხვა ასაკის, 4 დევნილია). სხვადასხვა ჭრილში გამოვლინდა მსგავსი ტენდენციები.

მხოლოდ 16 რესპონდენტს (8.1%) მიაჩნია, რომ ძალადობის მსხვერპლთა არსებული სახელმწიფო სერვისები საკმარისია. საპირისპირო აზრისაა 73 რესპონდენტი (36.7%), ხოლო რესპონდენტების უმეტესობა თვლის, რომ საკმარისია მხოლოდ ნაწილობრივ (55.2%, 110 რესპონდენტი), რაც მიუთთებს სერვისების გაძლიერებისა და გამრავალფეროვნების საჭიროების შესახებ.

თავი 5. საფრთხეების გავლენა ადამიანზე

კვლევის მონაცემების მიხედვით, საფრთხის განცდას რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფაქტორი ქმნის: რესპონდენტებს ყველაზე მეტად რისკის შემცველად მიაჩნიათ გაზრდილი სტრესი და დაძაბულობა (შემთხვევათა 52.8%) და მისი თანმდევი მიგრაციის და გაყოფილი ოჯახების რიცხვის ზრდა (შემთხვევათა 40.7%), ფსიქოლოგიური და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები (დაახლოებით შემთხვევათა 28-29 პროცენტი). სხვადასხვა ჭრილში გამოვლინდა მსგავსი ტენდენციები.

ადამიანური უსაფრთხოების გაზრდილი რისკების გავლენა მოსახლეობაზე



შენიშვნა: მოცემული განაწილებები აღნიშნავს პასუხების და არა რესპონდენტების რაოდენობას (თითოეულს შეეძლო დაესახელებინა 2 ფაქტორი)

პირადი თუ საზოგადოებრივი პრობლემების გადასაჭრელად სახელისუფლებო სტრუქტურებისადმი მიმართვიანობა შედარებით დაბალია, რაც ნაწილობრივ უნდობლობითაა გამოწვეული: ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მიუმართავს 20.6%-ს (41 რესპონდენტი), ცენტრალური ხელისუფლებისთვის მხოლოდ 5 რესპონდენტს (2.5%). უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არ მიუმართავს არცერთი სახელისუფლებო სტრუქტურისთვის (76.9%), მათ შორის **20.1%-ს არ მიუმართავს, რადგან არ სჯერა შესაბამისი რეაგირების.** მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა სხვადასხვა ჭრილის მიხედვით, თუმცა დევნილებს ადგილობრივებთან შედარებით მეტად აქვთ დაფიქსირებული, რომ მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას (დაახლოებით 28% - დევნილები; დაახლოებით 16% - ადგილობრივები).

თვისებრივი კვლევის მონაწილეებმა დაასახელეს, თუ **რა უნდა გაკეთდეს არსებული პრობლემების გადასაჭრელად, სიტუაციის გამოსწორების (უსაფრთხო გარემოს შექმნის) მიზნით:**

- მუნიციპალიტეტში არსებული ქვეპროგრამების გაუმჯობესება, გაფართოება და ბენეფიციარების საჭიროებებზე მორგება;
- საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება;
- პრობლემებზე ღიად საუბარი;
- დასაქმებულთა შრომითი უსაფრთხოების დაცვა;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებული კანონის დახვეწა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, მათი უზრუნველყოფა დასაქმებით, საცხოვრისით და ა.შ.;
- კოორდინირებული მუშაობა (სახელისუფლებო და არასამთავრობო სექტორის);
- სხვადასხვა სტრუქტურასა და უწყებას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება და ბიუროკრატიული ბარიერების შერბილება;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით, „მშობლების სკოლების“ ჩამოყალიბება (ორივე სქესის მშობლისთვის);
- ფსიქოლოგის სერვისების გაფართოება და გაძლიერება - ***„ფსიქოლოგთან როცა დადიხარ, აქ ჰგონიათ, რომ გიჟი ხარ. მე გავიარე ერთწლიანი მომსახურება ფსიქოლოგთან და ძალიან დამეხმარა... ეს საკითხები რომ მოგვარდეს, ნაკლები ძალადობა იქნება“ (ა. ბ., შშმ ბავშვის დედა, მზარეული, ფოკუს-ჯგუფი).***

კითხვაზე, **პირადად როგორ შეუძლიათ პრობლემის გადაჭრაში წვლილის შეტანა/პრობლემის გადაჭრაზე გავლენის მოხდენა,** გამოვლინდა, რომ, ძირითადად, საკუთარ როლს აქტიურად ხედავენ საზოგადოებრივად აქტიური ადამიანები, მაგ.: თვითმმართველობების წარმომადგენლები, იურისტები, უფლებადამცველები, ჟურნალისტები, ინფლუენსერები, ფსიქოლოგები და ა.შ. აღნიშნული პირები საუბრობენ ქვეპროგრამების გაძლიერებაზე თვითმმართველობაში, საჭიროებების ადვოკატირებაზე ხელისუფლების ადგილობრივ და ცენტრალურ დონეებზე, მოსახლეობასთან პირისპირ კომუნიკაციაზე, სკოლაში - მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებაზე. რაც შეეხება თვისებრივი კვლევის დანარჩენ მონაწილეებს, ნაწილი ვერ გრძნობს საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას და სურს ხელისუფ-

ლებას „გადააბაროს“ სრულად ყველა არსებული პრობლემის მოგვარება. ნაწილისთვის საკუთარი ოჯახია ამოსავალი და ამ პრიზმით უყურებს პრობლემების გადაჭრის საკითხს - ოჯახის წევრებთან შეთანხმებით. მხოლოდ მონაწილეთა ძალზე მცირე ნაწილი აცნობიერებს საკუთარ როლს და მნიშვნელობას მათთვის აქტუალური პრობლემის გადაჭრაში და გამოირჩევა საზოგადოებრივი პასუხისმგებლობით.

რამდენად ასახავს ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების პროგრამები მოწყვლადი მოსახლეობის სპეციფიკურ საჭიროებას?

თვითმმართველობის წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ პროგრამები ასახავს მოსახლეობის საჭიროებებს, თუმცა თავადვე აღიარებენ, რომ კიდევ ბევრი სამუშაოს გაწევაა საჭირო - ***„უნდა მოხდეს ყველა პროგრამისა და პროექტის საჭიროებების კვლევებზე დაფუძნება. ვფიქრობ, ადგილობრივ ხელისუფლებას მეტი აქტივობა გვმართებს იმაში, რომ ეს პროგრამები ნამდვილად შეესაბამებოდეს მოქალაქეების საჭიროებებს და განხორციელების პროცესში ან განხორციელების შემდგომ შევაფასოთ, პროგრამა უნდა გარძელდეს თუ არა და რამდენად იქონია გავლენა მოქალაქეებზე“ (მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი).***

სხვა მონაწილეებიც მიუთითებენ პროგრამების არასაკმარისობაზე, მაგ., მოძალადეთა რეაბილიტაციის პროგრამის არარსებობაზე. ამავე დროს, ყველა თანხმდება, რომ მოსახლეობა ნაკლებად არის ინფორმირებული არსებული სერვისების შესახებ და ზოგჯერ, აღნიშნული მიზეზის გამო, კუთვნილ სერვისებს და დახმარებებს ვერ იღებენ. შესაბამისად, გამოწვევას წარმოადგენს და საჭიროა მუშაობა ცნობიერების და ინფორმირებულობის გაზრდაზე.

ამას გარდა, თვისებრივი კვლევის მონაწილეები მიუთითებენ, რომ აუცილებელია პროგრამების დაფუძნებამდე საჭიროებათა კვლევის ჩატარება, პროგრამების ბენეფიციარების ინტერესებსა და საჭიროებებზე უკეთ მორგების მიზნით. აღმოჩნდა, რომ საჭიროებათა შეფასებაში მონაწილეობა მიუღია თვისებრივი კვლევის მხოლოდ ერთ (ფოკუს-ჯგუფის) მონაწილეს.

მიუმართავთ თუ არა სახელისუფლებო სტრუქტურებისთვის პირადი თუ საზოგადოებრივი პრობლემის გადასაჭრელად? როგორი რეაგირება გამოხატეს აღნიშნულ პრობლემებთან მიმართებაში.

თვისებრივი კვლევის მონაწილეების უმეტესობას (ძირითადად, ახალგაზრდებს) არ მიუმართავს სახელისუფლებო სტრუქტურებისთვის პირადი თუ საზოგადოებრივი პრობლემის გადასაჭრელად. მიმართვიანობა მოიცავს შემდეგ საკითხებს: ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა, უკანონო მშენებლობა, ჯანმრთელობის საკითხები. ზოგ შემთხვევაში პრობლემა გვარდება, თუმცა თავს იჩენს მთელი რიგი გამოწვევები, რომელთა გადაჭრას ხშირად **არაფორმალური გზებით** ცდილობენ მოქალაქეები:

> ***„ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მეც მიმიმართავს პირადი თუ საზოგადოებრივი პრობლემის გადასაჭრელად და ვერ ვიხსენებ ისეთ შემთხვევას, უარი რომ ეთქვათ. უბრალოდ, საქმე იმაშია, რომ ეს ყოველთვის მომხდარა არა იმ ბიუროკრატიული საფეხურების ზუსტი დაცვით, რაც გაწერილია, არამედ იმ ერთეული ადამიანების მხრიდან „ხელის წაკვრის“ წყალობით, რომლებიც იმ სტრუქტურებში მეგულებოდნენ“ (ახალგაზრდა ქალების ფოკუს-ჯგუფი, ქუთაისი).***

„მე პირადად ჯანმრთელობის პრობლემა მქონდა, მივმართე, მაგრამ ისეთი მიზერული დახმარებაა, იმდენი ბარიერია საბუთების მოსაგვარებლად, ჯობს, თავი დაანებო. ასევე მივმართეთ ლამპიონებისათვის და 3 თვის შემდეგ 1-2 ნათურა გაგვიკეთეს. დააზიანეს წყალი, გაზი, სხვა პრობლემები შეგვიქმნეს სამაგიეროდ" (მ. წ., ეკონომისტი, სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ფოკუს-ჯგუფი, 3 ქალი, 3 მამაკაცი, ქუთაისი).

„ზოგჯერ აზრს ვერ ხედავ მიმართვის, მაგალითად, ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე, სასამართლოს შენობის წინ გზა რომ გასუფთავებული უნდა იყოს, ამას რად უნდა მითითება?! (დ. ს., ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი, 28 წ.).

დასკვნები და რეკომენდაციები

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის გზების, სატრანსპორტო სისტემის და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. გზების და ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად დასრულება (კვლევამ გამოავლინა, როგორც მნიშვნელოვანი გამოწვევა), ავტომობილების გამონაბოლქვის კონტროლისთვის საკანონმდებლო ზომების და ტექნიკური დათვალიერების წესების გამკაცრება, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის გამკაცრება და კონტროლი სარეკრეაციო ზონებში. თავად სარეკრეაციო ზონების განვითარება/გაზრდა. აუცილებელია საზოგადოებრივი ტრანსპორტის რაოდენობისა და, შესაბამისად, სიხშირის (უფრო ხშირი ინტერვალით მოძრაობა) გაზრდა. ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანია გენდერულ ჭრილშიც, ვინაიდან ქალები მეტად არიან შეზღუდული მობილობის მხრივ და მათი გადაადგილება მეტწილად დამოკიდებულია საზოგადოებრივ ტრანსპორტზე.

იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე სიახლეების და პოლიტიკური პროცესების შესახებ გამოკითხულთა უმეტესობა ინფორმაციას ინტერნეტის საშუალებით იღებს, საჭიროა, მოსახლეობის მეტი ინფორმირებისათვის სოციალური ქსელების უფრო აქტიურად გამოყენება **საინფორმაციო კამპანიების ჩასატარებლად და ცნობიერების ამაღლების მიზნით - საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში არსებულ სიახლეებთან დაკავშირებით.**

ბავშვის მოვლის სერვისების (მათ შორის, ბავშვის მოვლის/ზრუნვის გახანგრძლივებული სერვისები სკოლებსა და ბაღებში, დღის და საღამოს ცენტრები დასაქმებული დედებისთვის) განვითარება, რომელსაც კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა თითქმის მეოთხედი, ძირითადად, ქალები, მიიჩნევენ აქტუალურ და პრიორიტეტულ გამოწვევად მათ თემში[5], რომელიც აუცილებელია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობისა და, შესაბამისად, მათი ფიზიკური და მენტალური/ფსიქიკური უსაფრთხოებისთვის (ძალადობრივ გარემოში დაბრუნების/დარჩენის შემთხვევების მინიმიზირებისა და პრევენციისთვის).

5 (მოცემული ჯგუფიდან - 10 რესპონდენტი მამაკაცია)

კრიმინალის ზრდა და ნივთიერებაზე დამოკიდებულება (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია) - ორი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა კვლევის შედეგების მიხედვით. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა არა მხოლოდ შესაბამისი სტრუქტურების მეტად გააქტიურება, არამედ ღიად საუბარი საზოგადოებაში, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს **ცნობიერების ამაღლების აქტიური კამპანიის ჩატარებას, მათ შორის, სასკოლო ასაკის მოზარდებთან მუშაობით.**

საჭიროა მოსახლეობის მეტი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც გულისხმობს: ა) საჭიროებათა კვლევის ჩატარებას; ბ) მოსახლეობის ინფორმირებას არსებული პროგრამების და პროექტების შესახებ; გ) მოსახლეობის ინფორმირებას და მოტივირებას, რომ დაესწრონ სხდომებს (მაგ., ბიუჯეტის შედგენის დროს).

მუნიციპალური პროგრამების/ქვეპროგრამების გაძლიერება და ბენეფიციარების საჭიროებებზე მორგება - რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევები გამოკვეთს ბენეფიციარების ინტერესების მეტად გათვალისწინების აუცილებლობას. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ კვლევის მიხედვით, უმრავლესობა (მათ შორის, თვითმმართველობის წარმომადგენლებიც) მიუთითებენ არსებული პროგრამების/ქვეპროგრამების არასაკმარისობასა და განვითარების/დახვეწის აუცილებლობაზე. მოსახლეობა ზოგჯერ ვერ იღებს კუთვნილ სერვისებს/ ვერ მონაწილეობს პროგრამაში, რადგან არ არის ინფორმირებული, რომ შეუძლია გახდეს რომელიმე არსებული სერვისის ბენეფიციარი. ზემოაღნიშნული პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია როგორც მოსახლეობასთან პირისპირ კომუნიკაციით - საჯარო შეხვედრებით, მოსახლეობაში გასვლით ან მუნიციპალიტეტში მოქალაქეების ვიზიტის გზით - ასევე მოიცავს საჭიროებათა კვლევის, მონიტორინგის და შეფასების განხორციელებას.

ახალი მშენებლობების საკითხის მოწესრიგება - ავარიული ბინები, მოძველებული და სიცოცხლისთვის საშიში ლიფტები, სამშენებლო სტრანდარტების და შრომის უფლებების დარღვევა ის საკითხებია, რომლებიც მწვავედ დგას მოსახლეობის/თემის წინაშე. საჭიროა კანონის გამკაცრება/დახვეწა და სამშენებლო სტანდარტების და შრომის უფლებების მკაცრად დაცვა და მონიტორინგი.

ხარისხიანი საშუალო განათლების უზრუნველყოფა - რომლის მისაღწევად აუცილებელია პედაგოგთა გადამზადება, მათი რაოდენობის გაზრდა, სკოლის უზრუნველყოფა შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობებით (კომპიუტერი, ინტერნეტი, შესაბამისი ლაბორატორიები/კაბინეტები მაგ., საბუნებისმეტყველო დისციპლინებში), სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

ხარისხიანი უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა - მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მიხედვით, შედარებით ხარისხიან უმაღლეს განათლებაზე მეტად მიუწვდება ხელი მოსახლეობას, თავს იჩენს მთელი რიგი გამოწვევები, რომელთა გადასაჭრელად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია **სწავლის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა,** მაგ., წარჩინებული მოსწავლეებისთვის/სტუდენტებისთვის საფასურის თანადაფინანსება (ყველაზე გამორჩეულებისთვის - შესაძლოა, სრულად დაფინანსება) მუნიციპალიტეტის მიერ, მაგ., ვაუჩერული სისტემის გამოყენებით. ამას გარდა, მნიშვნელოვანია **პროფესიის საორიენტაციო კურსების ჩამოყალიბება/განვითარება სკოლებში,** სწავლების დამამთავრებელ საფეხურზე.

ძალადობრივი გარემოს შესამცირებლად და ძალადობის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია სკოლებში ბულინგის დონის შემცირება - საჭიროა ცნობიერების ამაღლება, თანამშრომლობა როგორც სკოლის წარმომადგენლებთან (ადმინისტრაცია, მანდატური, პედაგოგები, ექიმი, ფსიქოლოგი), ასევე მოსწავლეებთან კომუნიკაცია. სკოლაში ექიმების და ფსიქოლოგების შტატის დანერგვა/გაძლიერება. ცნობიერების ამაღლების და მოსწავლეებთან სწორი კომუნიკაციის დამყარების მიზნით, არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა.

ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების გაზრდა/გაძლიერება - იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ კვლევის შედეგების მიხედვით, მამაკაცებისთვის ნაკლებად აქტუალურია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხი, ძალადობის ძირითად ფორმებს კი ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობა წარმოადგენს (რომლის პირდაპირი ობიექტი უმეტეს შემთხვევაში ქალია), საჭიროა ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის მუნიციპალური სერვისების და მათი ხელმისაწვდომობის გაძლიერება/გაზრდა[6], მათ შორის, არასამთავრობო სექტორთან კოორდინირებული მუშაობის გზით. ზემოაღნიშნული მოიცავს: მოსახლეობასთან პირისპირ შეხვედრებს, სხვადასხვა სახის საინფორმაციო კამპანიის წარმოებას (უმეტესობა ნაწილობრივ ინფორმირებულია ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ, ხოლო ნაწილი - სრულიად არაინფორმირებული), კვლევაში გამოვლენილი ინფორმირების ორი ძირითადი წყაროს მეშვეობით - ინტერნეტი/სოციალური ქსელები; ტელევიზია/რადიო.

ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პროგრამების გაზრდა/გაძლიერება - საფრთხის განცდის რისკების გავლენა ადამიანზე, კვლევის მონაცემებით, უკავშირდება სტრესს და დაძაბულობას (ფსიქოლოგიურ მდგომარეობას). ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოწვევები ურთიერთდაკავშირებულია და დიდ გავლენას ახდენს ისეთ მნიშვნელოვან გამოწვევებზე, როგორებიცაა: გაზრდილი მიგრაცია (მოჭარბებული ეკონომიკური, სოციალური და/ან პოლიტიკური საფრთხის განცდის გამო), ჯანმრთელობის პრობლემები და ა.შ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მუნიციპალური პროგრამების და მათი ხელმისაწვდომობის/დაფარვის არეალის გაზრდა/გაძლიერება, ფსიქოლოგების რაოდენობის ზრდა, მოსახლეობის ინფორმირება აღნიშნული პროგრამების შესახებ, არასამთავრობო სექტორთან კოორდინირებული მუშაობა.

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დანერგილ პროგრამებში/ქვეპროგრამებში სრულყოფილად სხვადასხვა მოწყვლადი კატეგორიის ადამიანების სპეციფიკური საჭიროებების სრულად გათვალისწინება. კვლევამ აჩვენა, მაგ., მოძალადეთა რეაბილიტაციის/ქცევის კორექციის პროგრამის გაძლიერების/განვითარების საჭიროება, ხანდაზმულთა გაძლიერების პროგრამა (მოცემული კატეგორიის მოსახლეობის საჭიროებები შესწავლილი არ არის და აუცილებელია მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომების შემუშავება - კვლევის ჩატარება და საჭიროებათა შეფასება/ანალიზი).

6 კვლევის მიხედვით, ქუთაისის მუნიციპალიტეტში რესპონდენტები მიუთითებენ სერვისების არახელმისაწვდომობის შესახებ

ქალთა ფონდი „სოხუმი“

პროექტის დირექტორი - ალლა გამახარია

პროექტის კოორდინატორი - თეა გოლეთიანი

რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეგროვებაზე მუშაობდა
ქუთაისის ქალთა საინიციატივო ჯგუფი

კვლევა მოამზადა ნინო კორინთელმა

რედაქტორი - ლალი შენგელია

დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

საკონტაქტო ინფორმაცია

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6
ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ, საოფისე ფართი №2

fundsukhumitbilisi@gmail.com
womansukhumi@gmail.com

www.fsokhumi.ge
https://sosfsokhumi.ge/

www.facebook.com/fsokhumi/